**საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს თავმჯდომარის**

**ბრძანება №2**

**2026 წლის 23 თებერვალი**

**ქ. თბილისი**

**საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება №2 „ინოვაციების რეესტრში რეგისტრაციის წესისა და ინოვაციების რეესტრის წარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ სსიპ – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 24 სექტემბრის №1 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

„ინოვაციების რეესტრში რეგისტრაციის წესისა და ინოვაციების რეესტრის წარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ სსიპ – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 24 სექტემბრის №1 ბრძანებით დამტკიცებულ „ინოვაციების რეესტრში რეგისტრაციის წესი და ინოვაციების რეესტრის წარმოების ინსტრუქციაში“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. პირველი მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ინოვაციების რეესტრის ოფიციალური ვებგვერდის მისამართია: „innovationstatus.gov.ge.“.

2. მე-3 მუხლის მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ინოვაციების რეესტრში რეგისტრაციის მიზნით ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული განაცხადით წარმოდგენილი ინფორმაცია/დოკუმენტაცია წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას, გარდა რეგისტრირებული სუბიექტების შესახებ, ამ წესის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი საჯარო ინფორმაციას მიკუთვნებული მონაცემებისა.“.

3. მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის $1^1$ პუნქტი:

„ინოვაციების რეესტრში ელექტრონულად გამოქვეყნებას ექვემდებარება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია, გარდა „ე“–„თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციისა.“.

4. მე-4 მუხლის პირველი პუნქტიდან ამოღებულ იქნეს „ჟ“ ქვეპუნქტი.

5. მე-4 მუხლის მეორე პუნქტიდან ამოღებულ იქნეს „ი“ ქვეპუნქტი.

6. მე-4 მუხლის მესამე პუნქტიდან ამოღებულ იქნეს „თ“ ქვეპუნქტი.

**მუხლი 2**

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს თავმჯდომარე** **ავთანდილ კასრაძე**